



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1474
09/08/2018

ქალაქი ბათუმი

1474-05-4-201808091629



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1148 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 აგვისტოს №10757/05 წერილით განმარტებულია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე მიკუთვნებული ავტომანქანა „ტოიოტა ჰაილუქსი“ სახელმწიფო ნომერი GG – 484 – TT გამოვიდა მწყობრიდან, რის გამოც საჭიროა შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1148 ბრძანებაში.

ყოველი ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 აგვისტოს №10757/05 მომართვის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1148 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ავტომანქანა „ტოიოტა ჰაილუქსი“ სახელმწიფო ნომერი GG484TT ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (მძღოლი თეიმურაზ თევზაძე);“.

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹⁴ პუნქტი:

„11¹⁴. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნადიმ ვარშანიძეს სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლიტრის ოდენობით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is positioned to the right of the printed text.